წერილის ნომერი: **18-01192281487**
თარიღი: **16/08/2019**
პინი: **5940**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა, თქვენი 2019 წლის 12 აგვისტოს #60-01192241771 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ დ. კობახიძის მიერ 2019 წლის 25 ივნისს გაცემული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასების საექსპერტო დასკვნა N001/213, მწვანე ნარგავების ამსახველი ფოტომასალა, ტოპო. გეგმა, განმარტებითი ბარათი), რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ნინო ქუფარაშვილის მომართვის (AR1699526) საფუძველზე, შპს „ვიზის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ვანის ქუჩა, N4; ს.კ.: 01.13.06.006.075) (სზ-6) IV კლასის შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დამტკიცებულ პირობებში, ცვლილების შეტანის ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (ტოპო. გეგმით, საექსპერტო დასკვნით, განმარტებითი ბარათით) ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა შეადგენს 6 ერთეულს. ატვირთული ტოპო. გეგმის თანახმად, მშენებლობის მიზნით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია, საპროექტო შენობის განთავსების კონტურში მდგომი 4 ძირი მწვანე ნარგავის (N2 ჩვ.თუთა- 45.5სმ; N3 ჩვ.თუთა-52.5სმ; N4 ხემყრალი-16.9სმ; N5 ჩვ.თუთა - ჯგუფში 5 ერთეული) გადარგვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განმცხადებელმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც დადგენილება) 21^{1}-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დამატებით უნდა წარმოადგინოს დიდი დიამეტრის მქონე (25სმ-ს აღემატება) მწვანე ნარგავების (N2 ჩვ.თუთა-45.5სმ; N3 ჩვ.თუთა-52.5სმ) **ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის აგროტექნიკური მეთოდოლოგია** და **წერილობითი დასტური** იმ პირისგან (ფიზიკური/იურიდიული), რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეც. ტექნიკა და განახორციელებს მოცემული დიდი დიამეტრის მქონე ხეების გადარგვის სამუშაოებს.

დამატებით მოგახსენებთ, რომ გადარგვის მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს შესაბამისი სპეც. ტექნიკის თაობაზე, რომლის გამოყენებითაც განხორციელდება დიდტანოვანი ხეების გადარგვის სამუშაოები. ასევე გაცნობებთ, რომ მითითებული სპეც. ტექნიკა უნდა აკმაყოფილებდეს გადარგვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულ პირობებს.

დადგენილების მე-3^{1} თავის 27^{4}-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნაში არ არის მითითებული N5 ჩვ. თუთის ხის დიამეტრი. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მოთხოვნილი N5 ჩვ.თუთის ხის გადარგვის საკითხზე, საჭიროა განმცხადებელმა დამატებით წარმოადგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია.

ვინაიდან დაინტერესებული პირის გაცხადების საფუძველზე, დგინდება ახლად გამოვლენილი გარემოება, ინფორმაცია, ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დაზუსტებული

რაოდენობისა და მათი მდებარეობის შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება, 2018 წლის 24 აგვისტოს N18-01182362614 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ამდენად, სამსახური მას შემდეგ დააფიქსირებს პოზიციას მწვანე ნარგავთან დაკავშირებით, როდესაც განმცხადებელი დამატებით წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

